

ანოტაცია

ალბექსი 600 (Albeks 600)

Albendazole

ტაბლეტები პერორალურად მისაღები,
გამოიყენება ვეტერინარიაში

შემადგენლობა:

1 ტაბლეტი შეიცავს: ალბენდაზოლს 600 მგ

აღწერილობა: მწვანე ფერის ტაბლეტები ერთ მხარეს ჭდით, მეორე მხარეს წარწერა BIO, შესაძლოა აღენიშნებოდეს წინწკლები.

ფარმაკოლოგიური თვისებები

ალბენდაზოლის ანტიჰელმინთური მოქმედება განპირობებულია პარაზიტების ენერგეტიკულ მეტაბოლიზმზე მოქმედ ფუმარატ რედუქტაზას – კრებსის ციკლის ენზიმის შეზღუდვით, რაც იწვევს პარაზიტების სიკვდილს. ზოგ პარაზიტებში ალბენდაზოლი იწვევს ტუბულარული ცილის სინთეზის დათრგუნვას. პრეპარატი მოქმედებს ჰელმინთების განვითარების ყველა სტადიაში.

ფარმაკოკინეტიკა: ალბენდაზოლი პერორალური შეყვანისას კარგად შეიწოვება. დოზის დაახლოებით 47% ცხრა დღის განმავლობაში გამოიყოფა შარდთან ერთად მეტაბოლიტების სახით. პერორალურად მიღების შემდეგ პირველადი შენაერთები პლაზმაში ან არ აღინიშნება, ან აღინიშნება მხოლოდ დროის მცირე პერიოდში, რის შედეგადაც ეფექტი ძალიან სწრაფად ვლინდება.

პრეპარატი ტოქსიკოლოგიური მაჩვენებლებით მიეკუთვნება მცირეტოქსიურ ნაერთის ჯგუფს.

გამოყენების ჩვენებები

გამოიყენება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, თხის, ღორის, ცხენის, ვირის, ჯორის, ძაღლის, კატის, ფრინველის სადეჰელმინთიზაციოდ, ნემატოდებით, ცესტოდებით და ტრემატოდებით გამოწვეული დაავადებების პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის. მათ შორის:

მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვი:

კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები – სტრონგილოიდოზი.

ფილტვის ნემატოდები: დიქტოკაულოზი.

ცესტოდები – მონიეზიოზი.

ტრემატოდები: ფასციოლოზი, დიკროცელიოზი, პარამფისტომიდოზი.

ღორი: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - ასკარიდოზი, ეზოფაგოსტომოზი.

ფრინველი: კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნემატოდები - ასკარიდოზი, ჰეტერაკიდოზი.

გვერდითი მოვლენები

გამოყენების ინსტრუქციის შესაბამისად და თერაპიული დოზის 3-ჯერადი გადიდებით გვერდითი მოვლენები არ ახასიათებთ.

უკუჩვენებები

ალბენდაზოლი უკუნაჩვენებია იმ ცხოველებისთვის, რომლებსაც აქვთ ჰიპერმგრძობელობა ბენზიმიდაზოლის ან ალბენდაზოლის რომელიმე კომპონენტის მიმართ. პრეპარატის გამოყენება არაა რეკომენდებული დაუძღვრებული ცხოველების სამკურნალოდ და მწვავე ფასციოლოზის დროს.

სამიზნე სახეობა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, თხა, ღორი, ცხენი, ვირი, ჯორი, ძაღლი, კატა, ფრინველი.

გამოყენების წესი და დოზები

პრეპარატი გამოიყენება პერორალურად, ერთჯერადად, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, საკვებთან ერთად.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხვარი, თხა, ცხენი, ვირი, ჯორი: 1 ტაბლ. 80კგ ც.წ-ზე.

ღორს: 1 ტაბლეტი 120 კგ ც.წ-ზე.

ფრინველი: 1 ტაბლეტი 20 კგ ც.წ-ზე.

ძაღლი, კატა: 1 ტაბლეტი 24 კგ ც.წ-ზე.

ფასციოლოზის და დიკროცელოზის დროს დოზა ორმაგდება

განსაკუთრებული მითითებები:

განსაკუთრებული სიფრთხილის ზომები სამიზნე სახეობებში გამოყენებისას: დეჰელმინტიზაციამდე ცხოველებს არ ესაჭიროებათ სპეციალური დიეტა ან საფაღარათო საშუალებები. *თერაპიული მიზნებისათვის* ცხოველების დამუშავება ხდება ინსტრუქციის მიხედვით, *პროფილაქტიკის მიზნით* - გაზაფხულზე სამოვრებზე გაყვანამდე და შემოდგომაზე სადგომში მოთავსებამდე. ალბენდაზოლის გვერდითი ეფექტები ხანდახან შეიძლება მოიცავდეს აქტივობის დაქვეითებას, ლებინებას ან დიარეას, მაგრამ უფრო ხშირად დეჰელმინტიზაციის პროცესის შედეგია. თუ უარყოფითი რეაქცია გახანგრძლივდა (ეფექტი არ ქრება 24 საათის განმავლობაში ან მეტი ხნის განმავლობაში), რეკომენდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ მკურნალობა და მიმართოთ ვეტერინარს.

სპეციალური სიფრთხილის ზომები, რომელიც უნდა დაიცვას პირმა, რომელიც ვეტერინარული პრეპარატის გამოყენებას ანხორციელებს ცხოველზე: პრეპარატთან მუშაობისას უნდა დაიცვან პირადი ჰიგიენის და ვეტერინარიულ პრეპარატებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები. პრეპარატთან მუშაობისას აკრძალულია დაღევა, მოწევა და ჭამა. სამუშაოს დასრულების შემდეგ ხელები უნდა დაიბანოთ თბილი წყლით და საპნით. ალბენდაზოლის მიმართ ჰიპერმგრძობიარე პირებმა თავი უნდა აარიდონ პრეპარატთან პირდაპირ კონტაქტს. თუ პრეპარატი შემთხვევით მოხვდა კანზე ან ლორწოვ გარსებზე, ის უნდა ჩამოიბანოთ გამდინარე წყლით. ალერგიული რეაქციების, ასევე პრეპარატის მიღებისას დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ სამედიცინო დაწესებულებას (თან იქონიონ პრეპარატის გამოყენების ინსტრუქცია ან ეტიკეტი).

მაკეობა, ლაქტაცია

არ არის რეკომენდებული პრეპარატის გამოყენება მაკეობის პირველ მესამედში და ლაქტაციის პერიოდში. პრეპარატი მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პოტენციური სარგებელი აღემატება ნაყოფისთვის მოსალოდნელ რისკს.

ჭარბი დოზირება

ალბენდაზოლი უკიდურესად უსაფრთხოა გამოსაყენებლად, ცდებმა აჩვენა, რომ ტოქსიკურობა და ფატალობა გამოვლინდა მამრ და მდედრ თაგვებში 5,000 მგ/კგ ჭარბი დოზის მიღებისას; ვირთაგვებში 1,300 და 2,400 მგ/კგ დოზირებისას; ზაზუნებში - 10,000 მგ/კგ ჭარბი დოზირებისას

და ბოცვრებში 500 და 1,250 მგ/კგ დოზირებისას. ცხოველებში გამოვლინდა შემდეგი სიმპტომები: დიარეა, ლებინება, ტაქიკარდია და რესპირატორული დისტრესი. ჭარბი დოზის მიღების შემთხვევაში რეკომენდებულია სიმპტომური მკურნალობა და ზოგადი მხარდამჭერი ზომების მიღება.

ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან

დექსამეტაზონთან, პრაზიკვანტელთან ერთდროული გამოყენებისას შესაძლებელია სისხლის პლაზმაში ალბენდაზოლის სულფოქსიდის კონცენტრაციის მომატება.

დაყოვნების პერიოდი

მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის სახორცედ დაკვლა ნებადართულია დეკლემინთიზაციიდან 14 დღის შემდეგ, ღორის, ცხენის, ვირის, ჯორის, ბეწვიანი ნადირის - 7 დღის შემდეგ, რძე საკვებად ვარგისია 5 დღის შემდეგ.

შენახვის პირობები

პრეპარატი ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 25°C ტემპერატურაზე

ვარგისიანობის ვადა: 3 წელი

უტილიზაცია: აკრძალულია სამკურნალო საშუალებების ცარიელი კონტეინერების გამოყენება საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის.

გამოუყენებელი სამკურნალო პროდუქტი განადგურდება მოქმედი კანონით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

გამოშვების ფორმა: #50 ტაბლეტი პოლიეთილენის კონტეინერში

პრეპარატი უნდა ინახებოდეს ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

მხოლოდ ვეტერინარული გამოყენებისთვის

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი: ანტიჰელმინთური საშუალება, ATCvet code: QP52AC11

მწარმოებელი ქვეყანა: შპს „ბიოტექსი“, საქართველო, თბილისი, იუმაშევის ქ N8